ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარე მანანა გარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 2

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15 2020 წლის 20 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ,ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფრიძე ქეთევან ზუმბაძე,თორვიკე ავალიშვილი სულ საკრებულოს 23 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. ნიქაბაძე - ოპერატორი

ნ.კაპანაძე- გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ფრაქციის „ძალა ერთობაშია" თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა დასვა წინადადება საკრებულოს სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია მომხდარიყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული წინადადება

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 7

წინააღმდეგი- 16

გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული

მისივე წინადადებით საბიუჯეტო ცვლილების მიმართ არის შეკითხვები და პასუხის მიღება მინდა მერისაგან ამოვიდეს და გაგვცეს პასუხი ამდენ შეუსრულებელ პროექტები, რატომ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომა გადავდოთ ხვალისათვის .

საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

შესვენების დროის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ მები არ აპირებს საკრებულოს სხდომაზე დასწრებას და სთხოვა საკრებულოს წევრებს სხდომის გაგრძელება.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებებს.

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 23 წევრი

მომხრ -20

წინააღმდეგი- 3

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე